განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
21.03.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
15.04.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი 0705
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვიჩა ბერიძე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ფიქრია ასანიშვილი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოლქვაძე სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას პირველი აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2009 წლის 7 აგვისტოს №111 გადაწყვეტილებით. 2014 წლის 13 მაისს, №104 გადაწყვეტილებით, პროგრამამ მეორედ მიიღო აკრედიტაცია.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო აკადემიური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებით, რაც ქმნის მისი ეფექტიანად განხორციელების წინაპირობას. ასევე, პროგრამა გამოირჩევა კარგად სტრუქტურირებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით. მათ შორის აღსანიშნავია, კვლევის ხელშეწყობაზე ორიენტირებული მოდული და მასში შემავალი სავალდებულო კურსები: „აკადემიური წერა“, „კვლევის მეთოდები“ და „სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი“.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი კავკასიის უნივერსიტეტში განხორციელდა 2019 წლის 21 მარტს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ექსპერტთა ჯგუფს შორის შეთანხმებული განრიგის მიხედვით. ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყო კომფორტული სამუშაო გარემო. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები და ინტერვიუები შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი, სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები, პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

პროგრამის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მხრიდან ამომწურავი და არგუმენტირებული პასუხები გაეცა ექსპერტთა შეკითხვებს. ასევე, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცათ დაეთვალიერებინათ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: ბიბლიოთეკა, პროგრამისთვის შესყიდული უახლესი სასწავლო ლიტერატურა, ელექტრონული საინფორმაციო რესურსები, სასწავლო აუდიტორიები, სტუდენტური სივრცეები და სხვ.

ვიზიტის დროს დადასტურდა სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში და პროგრამის თანდართულ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტე, ხოლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა ცხადყო პროგრამის როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტის სიძლიერე.

ვიზიტის დასასრულს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიუხედავად, შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინებასაც ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს. კერძოდ:

1. დაკორექტირდეს „სწავლის შედეგების რუკაში“ წარმოდგენილი სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება; ასევე, „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში“ დაზუსტდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა.
2. შემუშავდეს და სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში აისახოს მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შედეგების გასაჩივრება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტთა აზრით სასურველია:

1. პროგრამის სწავლების ენის გრაფაში მიეთითოს მხოლოდ “ქართული”, ნაცვლად ჩანაწერისა: „ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით“;
2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ნაწილში, უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, განისაზღვროს და შესაბამისი ზღვრების გათვალიწინებით დაზუსტდეს აპლიკანტის ინგლისური ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო და ადგილობრივი ვალიდური სერტიფიკატები.
3. სტუდენტების მეტი ხელშეწყობა, რათა მათ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო მობილობაში.
4. მომავალში ხარისხის სამსახურთან კოორდინაციით, უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის გარე შეფასებების ჩატარება და გარე შემფასებლების პოზიციები გათვალისწინებული იყოს პროგრამის გაუმჯობესებაზე მუშაობისას.
5. პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამა აგებულია დარგში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. მისი თეორიული სასწავლო და კვლევითი მოდული ემყარება საზღვარგარეთის დარგში წამყვანი უნივერიტეტების გამოცდილებას. პროგრამის გუნდი თანამშრომლობს საქართველოში დარგში არსებულ საუკეთესო კვლევით ორგანიზაციებთან და აცნობიერებს საქართველოს ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით არსებული კვლევებისა და პრაქტიკული ცოდნის სიმწირეს და იზიარებს მისი განვითარების აუცილებლობას როგორც საერთაშორისო (კვლევების გამოქვეყნება, გაცვლითი პროგრამები, ინგლისურენოვანი კურსების შეთავაზება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და სხვ.), ასევე ადგილობრივ კონტექსტში. ეს უკანასკნელი დასტურდება 30-ზე მეტი კერძო თუ საჯარო ორგანიზაციასთან დადებული მემორანდუმებით და დასაქმების ბაზრის კვლევით.

პროგრამის გამორჩეულად ეფექტურ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად, „სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინის“ გავლა. ამ ორი კომპონენტის ერთ სემესტრში შეთავაზება დამატებით მოტივაციას უქმნის სტუდენტს დროულად შეასრულოს ნაშრომით გათვალისწინებული მოთხოვნები და ეხმარება მას გონივრულად გაანაწილოს კვლევისთვის გამოყოფილი სემესტრი. აღნიშნული პრაქტიკა ასევე უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ზრდას და მათ დებულებით განსაზღვრულ სტანდარტებთან მიახლოებას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ამოცანები განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სპექტრს და უკავშირდება დარგისა და საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან საჭიროებებს. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა თავისი მიზნებით სრულად შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიას, რომელიც გულისხმობს „კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებას და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას”. სამაგისტრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად, არის საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ. პროგრამის მიზნები მკაფიოდ ასახავს პროგრამის კონცეფციას, ითვალისწინებს ადგილობრივი დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და აჩვენებს როგორი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე კურდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული. პროგრამა ამზადებს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს, რომლებიც აღჭურვილი არიან საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის შესახებ თეორიული, მულტიდისციპლინური, სისტემური და სიღრმისეული ცოდნით; გააჩნიათ საერთაშორისო პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული კონცეფციების, თეორიებისა და ანალიზის მოდელების საფუძვლიანი და პრაქტიკული ცოდნა და შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში, ასევე საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. კავკასიის უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, ასევე, მატერიალური რესურსების შემოწმებისა და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების გათვალისწინებით, პროგრამაში ფორმულირებული მიზნები მიღწევადია არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;*
- *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;*
- *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან;*
- *ინტერვიუ დამსაქმებლებთან;*
- *უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;*
- *ვებ-გვერდი.*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სათანადოდ აღწერს იმ სიღრმისეულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რითიც აღჭურვილი უნდა იყოს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული.

პროგრამა შედგება რვა გენერაციული შედეგისაგან, რომლებშიც ფორმულირებულია დარგისთვის და მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის საჭირო კომპეტენციები. პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები არის რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადი და შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამის აღმწერებს.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებები პროგრამის ფარგლებში გამოიყენება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის, პროგრამის აკადემიური პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ საუნივერსიტეტო

კვლევების შედეგების საფუძველზე იგეგმება ცვლილებები და მტკიცდება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოებზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში 2018 წელს შემუშავებულ იქნა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც გაწერილია შესაფასებელი შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, მაგ.: პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა დინამიკა, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი და კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა. ზემოაღნიშნული მაჩვენებლების გაზომვის საფუძველზე პროგრამაში მოცემულია სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ზოგიერთ შემთხვევაში დასაკორექტირებელია სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგების ურთიერთმიმართება. მაგ., „სწავლის შედეგების რუკაში“ პროგრამის მესამე შედეგი მაღალი დონით მიიღწევა მხოლოდ ერთ კურსში „საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა“, ხოლო საშუალო და დაბალი მაჩვენებლით აღნიშნული შედეგი არ გვხვდება არც ერთ სხვა კურსში. სავარაუდოდ, ეს ხარვეზი ტექნიკური ხასიათისაა და დასაზუსტებელია სხვა კურსებიც, რომლებიც პროგრამის მესამე შედეგზე დაბალი და საშუალო მაჩვენებლით გადის. ასევე, დასახვეწია და არ ჩანს მკაფიო ურთიერთკავშირი „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში“ წარმოდგენილ ზოგიერთ მიზანსა და შედეგს შორის მაგ., პროგრამის პირველ და მესამე შედეგსა და პროგრამის მეოთხე მიზანს შორის. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრის და ჩამოყალიბების მიზნით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიურ პერსონალს კონსულტაციას უწევენ პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;* • *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;* • *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;* • *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;* • *შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი.*
რეკომენდაციები: • დაკორექტირდეს „სწავლის შედეგების რუკაში“ წარმოდგენილი სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება; ასევე, „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში“ დაზუსტდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა ამისა უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს დამატებითი წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია, და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ა) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის (A ტესტი) წარმატებით ჩაბარება;

გ) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურების წარმატებით გავლა. შიდა საუნივერსიტეტო პროცედურები შედგება სააპლიკაციო პაკეტის მიღების, ენის ფლობის დონის დადასტურებისა და სპეციალობაში ინტერვიუსაგან.

პროგრამაზე მიღების წინაპირობების საჯაროობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვებგვერდი, რომელიც დაინტერესებულ პირებსა და მომავალ სტუდენტებს აწვდის სათანადო ინფორმაციას პროგრამის შესახებ. ამავე მიზნით, უნივერსიტეტში იმართება პროგრამით დაინტერესებული პირებისთვის ღია კარის დღე.

პროგრამის ერთ-ერთი მოთხოვნაა ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენა ან ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების გავლა, თუმცა გასათვალიწინებელია, რომ პროგრამაში არ არის განსაზღვრული მექანიზმი რომელიც გადაამოწმებს სერტიფიკატის ვალიდურობას.

პროგრამის ხელმძღვანელებმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის ზოგადი მოთხოვნები ინგლისური ენის ცოდნასთან მიმართებაში საკმაოდ მაღალია და პროგრამაზე მხოლოდ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატებს ანიჭებენ უპირატესობას. ასევე, საგულისხმოა, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს არ გამოვლენილა ისეთი შემთხვევები, როდესაც პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს არასაკმარისი ენობრივი კომპეტენციის გამო, პროგრამის დაძლევა გაუჭირდა.

მიუხედავად ამისა, სასურველია პროგრამაზე დაშვების წანაპირობებში ვალიდური საერთაშორისო და ადგილობრივი სერტიფიკატებისა და მათი ზღვრების შესახებ ინფორმაციის მკაფიოდ წარმოჩენა.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიღების პროცესი უზრუნველყოფს სათანადო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტების მიღებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;*
- *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;*
- *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;*
- *ინტერვიუ პროგრამის ადმინისტრაციულ წარმომადგენლებთან;*
- *ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შესაბამისი ზღვრების მითითებით დაზუსტდეს იმ კონკრეტული სერტიფიკატების ჩამონათვალი (მაგალითად: TOEFL და IELTS), რომელიც

დაადასტურებს აპლიკანტის ცოდნის შესაბამისობას პროგრამის საჭიროებებთან და გამორიცხავს არავალიდური სერტიფიკატით სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამისა და სილაბუსების ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამა თავისი სტურუქტურით თანმიმდევრული და დაბალანსებულია. მასში გათვალისწინებულია პროგრამაში შემავალი კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს. სამაგისტრო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს. პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით. შესაბამისად, პროგრამა დასაქმებულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი სწავლის პროცესი წარმართონ არასრული დატვირთვით. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს, დასაქმებულმა სტუდენტებმა განაცხადეს, რომ შეუძლიათ სემესტრში მხოლოდ სამ სალექციო კურსზე დარეგისტრირება. აღნიშნული

დატვირთვა შესაბამისობაშია განათლების მინისტრის მე-3 ბრძანების მე-3 მუხლთან და მასში წარმოდგენილ საათების და კრედიტების განაწილებასთან.

120 ECTS კრედიტი შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტში შედის 52 ECTS – სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, 38 ECTS სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდული, რომელიც მოიცავს: საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის; რეგიონალიზმისა და სექტორული პოლიტიკის; პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის ბლოკებს.

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და საჯარო დაცვა, რომელიც მოიცავს 30 ECTS კრედიტს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობასთან ერთად სტუდენტი ვალდებულია გაიაროს სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი (3 ECTS).

სამაგისტრო პროგრამა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას არჩევითი მოდულის სასწავლო კურსების ნაცვლად აირჩიოს 10 ECTS თავისუფალი კრედიტი კავკასიის უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან და/ან ECTS კრედიტების მიმნიჭებელი სხვა პროგრამებიდან მობილობის ფარგლებში.

პროგრამაში გვხვდება მცირე ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ სწავლების ენის გრაფაში გვხვდება ჩანაწერი: „ქართული, ინგლისური კომპონენტებით“. აღნიშნული ფორმულირება არ შეესაბამება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ (მუხლი 4) და კვალიფიკაციის გაცემისას დიპლომის დანართის სწავლების ენის გრაფაში მისათითებლად დასაშვებ ფორმულირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია პროგრამაში სწავლების ენის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ „ქართული“ და სწავლების ინგლისურენოვანი კომპონენტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ასახული იყოს პროგრამის აღწერაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;*
- *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;*
- *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 (05.01.2007)*
- *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;*
- *ინტერვიუ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან;*
- *ინტერვიუ სტუდენტებთან;*
- *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კვალიფიკაციის მინიჭების დროს დიპლომის დანართში სწავლების ენის გრაფაში მიეთითება მხოლოდ ერთი ენა, აქედან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის სწავლების ენის გრაფაშიც მითითებული იყოს მხოლოდ „ქართული“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სალაბუსები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი რელევანტურია სილაბუსების შინაარსთან და სწავლის მეთოდებთან. ასევე, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა თუ სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება კურსების სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. სილაბუსში მითითებული მასალა ადეკვატურია სილაბუსის სალექციო თემებთან მიმართებაში. სალექციო თემების თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

თითოეულ სილაბუსში მითითებულია, სტუდენტებთან საკონსულტაციო შეხვედრებისთვის გათვალისწინებული 5 საკონტაქტო საათი, რომელიც წინასწარ არის შეთანხმებული პროფესორთან. ვიზიტის დროს როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების მხრიდან დადასტურდა აღნიშნული საკონსულტაციო შეხვედრების სიხშირე

როგორც პირისპირ შეხვედრების ფორმატში, ასევე ელექტრონული ფორმატის აქტიური გამოყენებით (ელექტონული ფოსტა; სოციალური ქსელები და სხვ;). სასწავლო პროგრამის გაცნობის, ასევე დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეთავაზებაა, რომ სამომავლოდ შეიქმნას სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავს თემატიკას ჰიბრიდული გამოწვევების შესახებ. აღნიშნული თემატიკის სიღრმისეული შესწავლა სტუდენტებს უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნის საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ყველაზე მწვავედ არსებული საკითხის - ჰიბრიდული საფრთხეების შემეცნების, გაანალიზებისა და მასთან ბრძოლის სტრატეგიების შემუშავების მიმართულებით. პროგრამის თეორიული და კვლევითი კომპონენტების განვითარების მიზნით გამოყენებულია სტუდენტთა გამოკითხვა კომპონენტების კმაყოფილების შესახებ და მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში* • *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;* • *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;* • *ინტერვიუ სტუდენტებთან;* • *კურსების კითხვარი.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, მომავალში პროგრამას დაემატოს სალექციო კურსი ჰიბრიდული გამოწვევებისა და საფრთხეების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. ზემოაღნიშნული დასტურდება არა მხოლოდ პროგრამაში არსებული კვლევითი უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსებით, არამედ იმ პრაქტიკული აქტივობებითაც, რომელიც სასწავლო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სტუდენტებისთვის. პრაქტიკული და კვლევითი უნარების გასაღრმავებლად პროგრამა მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები და სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი. პრაქტიკული უნარების ტრანსფერის თვალსაზრისით ეფექტიანია კვლევის დიზაინის შეთავაზება მეოთხე სემესტრში, როდესაც მაგისტრანტი მუშაობას იწყებს სამაგისტრო თეზისზე და აქვს შესაძლებლობა თავისი საკვლევი თემის ფარგლებში მოახდინოს შესწავლილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აღსანიშნავია, პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო კვლევით ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები, რითიც პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია მაგისტრანტის სტაჟირება, პრაქტიკა და კვლევითი უნარების გამომუშავება. მნიშვნელოვანია კავკასიის მართვის სკოლის ინიციატივით შექმნილი საერთაშორისო კონსორციუმის ჩართულობა პროგრამის ფარგლებში. რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში მშვიდობის კვლევების სამაგისტრო მოდულის შექმნას, რაც ქმნის საფუძველს სამომავლოდ საქართველოშიც განვითარდეს ამ მიმართულებით კვლევითი საქმიანობა და მასში მონაწილეობა მიიღონ პროგრამის სტუდენტებმაც. სახელმწიფო მართვის სკოლის ბაზაზე არსებობს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტი ჟან მონეს კათედრა (Jean Monnet Chair), რომელიც ხორციელდება ევროკავშირის Erasmus + ფინასური მხარდაჭერით და ემსახურება სტდენტური პროექტებისა ხელშეწყობასა და მათთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას. პროგრამის ძლიერი მხარეა ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვევითი საქმიანობის განვითარება და კვლევითი მიმართულების ხელშეწყობა. სახელმწიფო მართვის სკოლასთან არსებული მშვიდობის კვლევების ინსტიტუტი (IPS) აქტიურად თანამრომლობს წამყვან უცხოურ უნივერსიტეტებთან, კერძოდ, დუბლინის უნივერსიტეტი, ულტერის უნივერსიტეტი, ინსბრუკის უნივერსიტეტი და ტრინიტის კოლეჯი. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ erasmus + -ის გაცვლითი პროგრამებით და თავისუფლად შეძლონ დარგში ოპერირება უცხოური გამოცდილების გაზიარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;* • *ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;* • *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;* • *ინტერვიუ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაში დეკლარირებული სწავლის მეთოდებისა და სასწავლო კურსებში მოცემული მეთოდების ანალიზმა ცხადყო, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ერთი მხრივ შეესაბამება კურსის/კომპონენტის შინაარსს, ხოლო მეორე მხრივ მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სილაბუსის სწავლება-სწავლის მეთოდი არის რელევანტური სამაგისტრო საფეხურისთვის და ითვალისწინებს როგორც თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების, ასევე, კვლევითი უნარების (სავალებულო კურსები: აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები, სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი) გამომუშავებას. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ

ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (e-learning) მეთოდი. ყველა ეს მეთოდი შესამამისობაშია პროგრამის მისაღწევ შედეგებთან და პროგრამის საფეხურთან.

თითოეული კურსის სწავლების მეთოდები ადეკვატურია კურსით გათვალისწინებულ საათების განაწილებასთან და კრედიტების რაოდენობასთან.

სასწავლო პროცესში გათვალსიწინებულია მოწვეული სტუმრების პრეზენტაციები, დისკუსიები, სემინარები, ერთდღიანი ლექციები და მრგვალი მაგიდები, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაესწრონ გამოცდილი ადგილობრივი თუ უცხოელი პრაქტიკოსების საუბრებს და ინფორმაცია მიიღონ იმ მიდგომებზე, მეთოდებზე და ტენდენციებზე, რომლებიც დღეს აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებში.

აკადემიურ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან შეხვედრებიდან ჩანს, რომ სტუდენტზე ორიენტირებული გარემო კარგად არის დამკვიდრებული უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;*
- *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;*
- *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;*
- *ინტერვიუ სტუდენტებთან;*
- *ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან.*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. გარდა ამისა, ზოგადი ჩარჩო განსაზღვრულია შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებითაც, ხოლო სასწავლო კურსების შემთხვევაში უფრო მეტად არის დაკონკრეტებული შესაბამის სილაბუსებში.

სამაგისტრო პროგრამაში სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი, ობიექტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

პროგრამის ფარგლებში როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტის შეფასების დროს გამოიყენება მრავალფეროვანი შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები, რომელთა უმრავლესობა ზოგადად გვხვდება სამაგისტრო საფეხურზე, კერძოდ: რეფერატი, კვლევითი პროექტი, პრეზენტაცია, ესე, კვლევითი ნაშრომი და სხვა.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის პროცესში აქვს შესაძლებლობა თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს, იცოდეს შეფასების კრიტერიუმები, მეთოდები და ძირითადი კომპონენტები. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუებით თვალსაჩინო გახდა, რომ კურსების ნაკლოვანებებისა და ცოდნის გზების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას იღებენ როგორც აკადემიური პერსონალისგან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 24 ივლისის N07/01-21 ბრძანებით დამტკიცებულია „დებულება გამოცდების ჩატარების წესის შესახებ“, სადაც მერვე მუხლში მითითებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგების გასაჩივრების მექანიზმი. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი გასაჩივრების წესი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნასთან.

ამ დოკუმენტისგან განსხვავებით, 2018 წლის 08 ნოემბრის ივლისის N01/01-40 ბრძანებით განახლებულ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის დებულებაში წარმოდგენილი ჩანაწერის მიხედვით (მუხლი 9; პუნქტი 24): „სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება“.

ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა გასაჩივრების მექანიზმის არარსებობა ახსნეს ნაშრომის შეფასების სისტემის მოქნილობით. კურსდამთავრებულებთან და ნაშრომის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს, ასევე არ გამოვლენილა შემთხვევა, როდესაც სტუდენტს ნაშრომის შედეგის გასაჩივრების სურვილი ექნებოდა. მიუხედავად ამისა, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტთა შეფასების ნებისმიერი შედეგის გასაჩივრება. შესაბამისად, რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის შექმნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;*
- *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;*
- *მაგისტრატურის დებულება;*
- *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;*
- *ინტერვიუ სტუდენტებთან.*

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს და სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში აისახოს მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შედეგების გასაჩივრება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☑			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში დანერგილია და მოქმედებს სტდენტების მხარდაჭერის მრავალფეროვანი სერვისები. ექსპერტთა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მაგისტრანტები დროულად იღებენ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებების შესახებ. მათ კვალიფიციურ დახმარებას უწევენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი.

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი დროულად იღებს საჭირო ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებასთან, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას. საჭიროების შემთხვევაში, მაგისტრანტს შეუძლია ისარგებლოს რეზიუმეს შედგენასთან დაკავშირებული კონსულტაციებით. ასევე, უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს კარიერული ზრდის ხელშემწყობ საჯარო ტრენინგებს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, სურვილის შემთხვევაში, მათ საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებში.

სხვადასხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების მხრიდან ამ შესაძლებლობით სარგებლობის შემთხვევა არ გამოვლენილა.

ინტერვიუს დროს სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ინფორმაცია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ დროულად და ამომწურავად მოეწოდებათ და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისაგან თავის შეკავება ძირითადად სამსახურის გამო ან სხვა ალტერნატიული ინტერესებით არის გამოწვეული. მიუხედავად ამისა, სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ამ კომპონენტის გაძლიერება და სტუდენტების მეტი ხელშეწყობა, რათა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მათი ჩართულობა გაიზარდოს.

სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სტუდენტები ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლისგან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, ცოცხალ რეჟიმში იღებენ უკუკავშირს პროფესორ-მასწავლებლებისგან.

ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს პროგრამის განვითარების პროცესში. მაგალითად, სტუდენტებმა მოითხოვეს არჩევითი საგნების გამრავალფეროვნება, უნივერსიტეტმა კი მათ სასწავლო პროგრამას დაამატა კურსი „ენერგორესურსების გეოპოლიტიკა". პერიოდულად, სტუდენტები, უნივერსიტეტის მიერ შედგენილი სპეციალური კითხვარების საშუალებით, აფასებენ პროფესორებს და შესწავლილი კურსებისა და პროგრამით კმაყოფილებას.

სტუდენტებს სრული წვდომა აქვთ უნივერსიტეტში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, სასწავლო მასალები მათთვის ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური სახით, ასევე, ელექტრონული ფორმატით. უნივერსიტეტი ღიაა სტუდენტთა ინიციატივების მისაღებად და ხელს უწყობს მათ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებაში. ინტერვიუებში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კონსულტაციისთვის მიმართვა

ნებისმიერ დროს შესაძლებელია, როგორც პირისპირ შეხვედრით, ასევე ელექტრონული საშუალებითაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;* • *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;* • *ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;* • *ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;* • *ინტერვიუ სტუდენტებთან;* • *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, სტუდენტების მეტი ხელშეწყობა, რათა მათ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო მობილობაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურას არეგულირებს კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ დებულება. დებულებაში მოცემულია ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ და სამაგისტრო თეზისზე მუშაობის დროს ასისტირების პროცესის შესახებ.

საკვლევი თემის შერჩევის პროცესში, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ კონსულტაცია გაიარონ აკადემიურ პერსონალთან, ხოლო, ხელმძღვანელის შერჩევა-განსაზღვრის პროცესში მათ დახმარებას უწევს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. მაგისტრანტები ხელმძღვანელს ირჩევენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან, კონკრეტული საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი კვლევითი გამოცდილების მქონე პროფესორებისგან შედგება, რომლებიც ფლობენ შესაბამის დარგში მოწინავე კვლევებში მრავალწლიან ღირებულ გამოცდილებას. კომისიის მიერ დამტკიცებულ თემაზე სტუდენტი მუშაობს ხელმძღვანელთან მჭიდრო კონსულტაციების რეჟიმში. ხელმძღვანელი ეხმარება მას კვლევის გეგმის შედგენაში, ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში და უწევს ასისტირებას კვლევის პროცესთან დაკავშირებულ ყველა საჭირო კომპონენტში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ვიზიტის დროს მრავალჯერ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისინი ხელმძღვანელისგან იღებენ საჭირო დამხმარებას და ამისთვის უნივერსიტეტში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს აუმაღლოს სტუდენტებს ცნობიერების დონე აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, მაგალითად, პლაგიატთან დაკავშირებული საინფორმაციო ბუკლეტების არსებობა, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, სტუდენტებისთვის თვალსაჩინო ადგილას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;* • *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;* • *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;* • *ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;* • *ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;* • *ინტერვიუ სტუდენტებთან;* • *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.* • *კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის შესახებ დებულება;* • *აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმები.* • *აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი;* • *საინფორმაციო ბუკლეტები.*
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის

შედეგად, დასტურდება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულნი არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის ფარგლებში ასევე დასტურდება მოწვეული ლექტორების კომპეტენცია შესაბამის დარგში სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით (მონოგრაფია, სტატია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა;) და პრაქტიკული პროექტებით, რითიც ასევე დასტურდება მათი დარგობრივი მაღალი კომპეტეცია.

აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი. მათი არჩევის წესი გაწერილია დებულებაში „კონკურსის ჩატარების წესის შესახებ", ხოლო შერჩევის შესაბამისი პროცედურები დოკუმენტურად გამყარებულია პრეზიდენტის ბრძანებით, დეკანის მოხსენებითი ბარათით და საკონკურსო ოქმით. უნივერსიტეტში მოწვეული პერონალის მიღება ხორციელდება, როგორც კონკურსის წესით, ისე პირის საქმიანობის შეფასებისა და მიღწევების გათვალისწინებით დამსაქმებლის ან/და დასაქმებულების მხრიდან ინტერესის გამოხატვის შემთხვევაში. ამ შემთხვევშიც კანდიდატის შესარჩევად ტარდება „გასაუბრება”.

უნივერსიტეტში თითოეულ პროფესორს აქვს პირადი საქმე სადაც განთავსებულია ერთიანი სტანდარტის დაცვით შევსებული „კადრების აღრიცხვის ფურცელი", პირადი საქმე ასევე მოიცავს სტანდარტიზირებული პუბლიკაციების ფორმას, რეზიუმეს, კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის/წოდების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, სამეცნიერო–პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელ ინფორმაციას და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმებული აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია ს აერთაშორისო ურთიერთობების დარგის სტანდარტებით გათვალისწინებული დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალისგან, რომელთა კვალიფიკაცია ასევე დასტურდება ბოლო 5 წლის მანძილზე საერთაშორისო და ადგილობრივ მაღალ იმპაქტიან საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებით.

სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია 25 აკადემიური პერსონალი (2 პროფესორი, 6 ასოცირე ბული პროფესორი,2 ასისტენტ-პროფესორი,1 ასისტენტი) და 14 მომწვეული სპეციალისტი.

პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული არიან ლექტორები, რომლებსაც გააჩნიათ საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართულია უცხოელი პ როფესორი და მოწვეული ლექტორები პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, რომლებიც

ფლობენ დარგში სასწავლო სტანდარტების, სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოები სა თუ სხვადასხვა სასწავლო რესურსების შემუშავებისა და დანერგვის მდიდარ პრაქტიკუ ლ გამოცდილებას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რა ოდენობისა და დატვირთვის განაწილება უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში.

მაგისტრანტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას. გამოკითხული მაგისტრანტებისა და კურსდამთავრებულების პასუხები ცხადყოფს მათ კმაყოფილებას ხელმძღვანელების მიერ გაწეული ასისტირების მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მას მიღებული აქვს საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხი და გამოცემული აქვს შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციები. ასევე, ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი განათლების სფეროში ახალი სასწავლო კურსების მომზადების და წარმართვის პრაქტიკა. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების აქტიურ კონსულტირებასა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სამაგისტრო პროგრამების დირექტორი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ასევე, სტუდენტებთან მუდმივად ამყარებს კავშირს სამაგისტრო პროგრამების მენეჯერი, რომელიც აწვდის სტუდენტებს მიმდინარე ინფორმაციას პროგრამისა თუ სასკოლო ღონისძიების შესახებ; ისმენს მათ უკუგებას და განიხილავს სკოლის ადმინისტრაციასთან. შემდგომ აორგანიზებს სტუდენტურ შეკრებებს, ღონისძიებებს და ეხმარება სტუდენტებს გაზარდონ თავისი ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა მკაფიოდ აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობით, მათგან მიღებული მხარდაჭერით და რელევანტური მოთხოვნების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *სამუშაო აღწერილობები;*
- *საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *პერსონალის პირადი საქმეები;*
- *უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;*
- *აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;*
- *პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;*

- *აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;*
- *ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა;*
- *პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე;*
- *ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;*
- *ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;*
- *ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;*
- *უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს, რის საფუძველზეც ხდება პროფესიული განვითარების ანალიზი და შესაბამისი მიმართულებების განსაზღვრა.

აკადემიური რესურსის პროფესიული განვითარება ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა: ლექტორთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა; ლექტორთა ჩართულობა უსდ-ის ფარგლებში განხორციელებულ საერთაშორისო საგრანტო კონკურსებსა და პროექტების განხორციელების პროცესში; ლექტორთა სამეცნიერო

კონფერენციებში მონაწილეობა; სამეცნიერო საქმიანობის წახალისება, მათ შორის, უსდ-ის ბაზაზე სამეცნიერო შრომების ყოველწლიური კრებულის გამოცემის გზით; პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისკენ მიმართული ტრენინგები ორგანიზება და სხვა. აგრეთვე, ფინანსურად წახალისებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში უნივერსიტეტის აფილიაციით სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება, სახელმძღვანელოების შექმნა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა. აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის გასაზრდელად უნივერსიტეტში შეიქმნა კვლევების ხელშეწყობის დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტი ხელს უწყობს უნივერსიტეტის სკოლებში გამოყენებითი და ფუნდამეტნური კვლევების განხორციელებაზე ორიენტირებულ საქმიანობას. კვლევითი საქმიანობის ხელშესაწყობად უსდ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი რეგულარულად აგზავნის ინფორმაციას აკადემიურ პერსონალთან სხვადასხვა კვლევითი გრანტისა და შემოთავაზების შესახებ. უნივერსიტეტისის საერთაშორისო საგრანტო პროექტებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარებას. მაგალითისთვის, 2016 წელს ევროკავშირის erasmus + პროგრამის დაფინანსებით უნივერსიტეტი ჩაერთო სამწლიან საერთაშორისო პროექტში - „საქართველოში მშვიდობის კვლევების სამაგისტრო მოდულის შექმნა“ (PESTUGE). აღნიშნული მრავალკომპონენტიანი პროექტის ფარგლებში კავკასიის უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო მართვის სკოლის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოტენციალი. ამას გარდა, სახელმწიფო მართვის სკოლის აკადემიური პერსონალი ჩართულია erasmus + კიდევ ორ პროექტში, რომლის ფარგლებშიც მათ მიიღეს სწავლების მეთოდოლოგიის, კვლევისა და პრაქტიკული მიმართულებით გამოცდილება ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის, სასწავლო ვიზიტების, განხორცილებული ვორქშოფებისა და კონფერენციების ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *კითხვარი აკადემიური პერსონალისათვის;* • *საერთაშორისო მობილობის სტატისტიკა;* • *მემორანდუმები, შეთანხმებები.* • *უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების/ღონისძიებების შესახებ:* www.cu.edu.ge • *ინტერვიუს შედეგები*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალი დონის ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტუდენტები და აკადემიური პერსონალი შეზღუდვების გარეშე სარგებლობენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელთა რაოდენობა და ხარისხობრივად მაღალ დონეზე უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებითა და საკონფერენციო დარბაზებით;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკით;
- კომპიუტერული კლასებით, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკითა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამებით.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის

ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ;) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და შესაბამისი საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით:

- Cambridge Journals Online
- e-Duke Journals Scholarly Collection
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-book
- Royal Society Journals Collection
- Taylor And Francis Online
- EBSCO Elit package
- International Security & Counter Terrorism Reference Center

ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ შეუზღუდავი წვდომა აქვთ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და უზრუნველყოფილნი არიან ყველა საჭირო საგანმანათლებლო მასალით.

უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • *საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;* • *ტექნიკური აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა;* • *წიგნადი ფონდი;* • *საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების არსებობა;* • *ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან* • *საერთაშორისო ელექტრონულ საბიბილიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;* • *ინტერვიუს შედეგები;* • *მატერიალური-ტექნიკური ბაზების დათვალიერების შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტსა და ასევე პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განსახორციელებისთვის საჭირო ყველა ფინანსური ხარჯი. უნივერსიტეტს ასევე გააჩნია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, ითვალისწინებს პროგრამის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ხარჯს. შემდგომი აკადემიური განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში არსებობს უნივერსიტეტის სახელით საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მექანიზმი. კერძოდ, საგრანტო განაცხადის

წარმოდგენის წესის შესაბამისად პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა უნივერსიტეტის მხრიდან სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კვლევით თუ სხვა სახის აკადემიურ პროექტებში. ბიუჯეტის ანალიზის დროს, როგორც დოკუმენტაციის გაცნობის, ასევე ინტერვიუების შედეგად პროგრამის განხორციელების რისკები არ გამოვლენილა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;* • *პროგრამის ბიუჯეტი;* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" ციკლს, რაც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით, შესაბამისი საუნივერსიტეტო რეგულაციებით, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილი მექანიზმებითა და მონიტორინგის გზებით. კავკასიის უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს, როგორც სისტემურ შეფასებებს, ასევე საჭიროებაზე დაფუძნებულ კვლევებს. კვლევის შედეგები მიეწოდებათ შესაბამის სკოლებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებს, რომლებიც განსაზღრავენ სუსტ და ძლიერ მხარეებს. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით მუშავდება განსახორციელებელი ცვლილებების ანგარიშები და წარედგინება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. დეტალურად შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ასახულია კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში. ხარისხის სამსახური იყენებს წინასწარ დაგეგმილ, ფორმალურად შეთანხმებულ და სისტემატურ ღონისძიებებს, რაშიც იგულისხმება პროგრამებისა და სასწავლო კურსების ყოველ სემესტრული შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ. გარდა ამისა, პროგრამის მიმდინარეობის ხდება მონიტორინგი ყოველდღურ სამუშაო რეჟიმში უნივერსიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული რგოლის მიერ. პრობლემის იდენტიფიცირების შემთხვევაში ხდება მასზე რეაგირება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში უნივერსიტეტის ყველა სკოლა მონაწილეობს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოდგენილია დირექტორითა და მენეჯერებით. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ტარდება სხვადასხვა საჭროებაზე დაფუძნებული კვლევა, რომლის შედეგების გაანალიზება და სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინება აქტიურად ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის მიერ. საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არის გამართული და ეყრდნობა არა მხოლოდ ფორმალიზებულ, არამედ არაფორმალიზებულ პროცესებს, რომელიც უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის ნაწილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • *თვითშეფასების ანგარიში;* • *„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;* • *ხარისხის უზრუნვეყოფის დებულება;* • *ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს საუნივერსიტეტო დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი, რომელიც ემყარება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილ პროგრამას თან არ ერთვოდა პროგრამის სხვა გარე შემფასებლების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. უნივერსიტეტში ვიზიტის დრო, პროგრამის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ გარე შემფასებელთა ჯგუფი უკვე შერჩეულია და მათთან მიმდინარეობს შესაბამისი თანამშრომლობა გარე შეფასების მისაღებად. სასურველია, აღნიშნული მუშაობის გაგრძელება და მომავალში ხარისხის სამსახურთან კოორდინაციით, პროგრამის გარე შეფასებების ჩატარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • *დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;* • *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;* • *ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორთან.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, მომავალში ხარისხის სამსახურთან კოორდინაციით, უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის გარე შეფასებების ჩატარება და გარე შემფასებლების პოზიციები გათვალისწინებული იყოს პროგრამის გაუმჯობესებაზე მუშაობისას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და მისი პერიოდული შეფასება განსაზღვრულია კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით და მოიცავს თოთოეული სასწავლო წლის/სემესტრის ბოლოს შემდეგი კვლევების განხორციელებას: • სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა; • კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა; • დამსაქმებლების გამოკითხვა; • კურსების შეფასება. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კითხვარები, რათა ჩაატაროს კვლევები ყველა დაინტერესებული მხარეს მონაწილეობით და გააანალიზოს აკადემიური და მოწვეული

პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის დამოკიდებულებები და საჭიროებები პროგრამის სწავლის შედეგებთან, კურსდამთავრებულების კომპეტენციებთან და სხვა საკითხებთან მიმართებაში. ამ კითხვარებისა და შესაბამისი კვლევის შედეგების გათვალიწინებით დგება კვლევის ანგარიში, რომელიც ეგზავნება დაინტერესებულ პირებს (პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი და სხვა). სწავლებასთან და დარგობრივ საკითხებთან დაკავშირებულ კვლევის შედეგებს, პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად წარუდგენს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. კვლევების საფუძველზე ხორციელდება სემესტრული ცვლილებები, რომლებიც მტკიცდება შესაბამისი სკოლების საბჭოებზე. უნივერსიტეტი იყენებს კომპეტენციების რუკას, რომლის დახმარებითაც ზომავს როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის წვლილს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, ასევე განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნული ეხმარება უნივერსიტეტს გაზომოს რამდენად რეალისტური და მიღწევადია პროგრამის სწავლის შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *თვითშეფასების ანგარიში;* • *კომპეტენციების რუკა;* • *„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;* • *ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☑			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ხვიჩა ბერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

ფიქრია ასანიშვილი

თეონა კუპრაძე

ნინო ბოლქვაძე